

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს 2005 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარისა და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს 2005 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საფუძვლად დაედოს წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 5 პროცენტის ფარგლებში.

2. ეროვნულმა ბანკმა ფულის მიწოდება განახორციელოს მასზე მოთხოვნის შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და ლარის გამოყენების არეალის გაფართოების გათვალისწინებით. სარემეოვო ფულის მოცულობა გაიზარდოს 18-20 პროცენტით, უპირატესად საბანკო სისტემის დაკრედიტებისა და ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების აკუმულირების გზით. ამასთან, ფართო ფულის მაგება განხორციელდეს ძირითადად ეროვნული ვალუტით, ფინანსური შუამავლობის გაუმჯობესებისა და ფულადი მულტიპლიკატორის ზრდის ხარჯზე.

3. ფულის არაინფლაციური მიწოდებისათვის ინტენსიურად იქნეს გამოყენებული ღია ბაზრის ოპერაციების, კერძოდ, რეპო-ოპერაციების მექანიზმი. ამასთან, დაიწყოს კომერციულ ბანკებთან სვოპ-ოპერაციები. ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სრულყოფს სახაზინო ვალდებულებების განთავსების სქემა. ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანების ზრდა განხორციელდეს ისე, რომ მთავრობის წმინდა დავალიანების მაგებამ წლის ბოლოსათვის 27 მილიონ ლარს არ გადააჭარბოს.

4. მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირებისათვის აღნიშნულ ინსტრუმენტებთან ერთად გამოყენებული იქნეს ერთდღიანი კრედიტებისა და დეპოზიტების, ბანკთაშორისი საკრედიტო და სადეპოზიტო აუქციონის მექანიზმები. კომერციულ ბანკებთან ოპერაციები წარიმართოს ისე, რომ ბანკების წმინდა დავალიანებამ ეროვნული ბანკის მიმართ წლის ბოლოსათვის 40 მილიონ ლარს არ გადააჭარბოს.

5. სავალუტო პოლიტიკა განხორციელდეს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფარგლებში. ლარის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების თავიდან აცილების მიზნით გამოყენებული იქნეს ორმხრივი სავალუტო ინტერვენციები. ამასთან, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანის გათვალისწინებით მიღწეული იქნეს ლარის

რეალური, ეფექტიანი გაცვლითი კურსის ისეთი დინამიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

6. სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად კვლავ დარჩეს საერთაშორისო რეზერვების აკუმულირება. ეს პროცესი წარიმართოს ისე, რომ ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ წლის ბოლოსათვის სულ მცირე 2,5 თვის იმპორტის (ნავთობსაღენისა და გამსაღენის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული იმპორტის გარეშე) ეკვივალენტი შეადგინოს. ამასთან, გაფართოვდეს რეზერვების მართვის ფინანსური ინსტრუმენტების სპექტრი და დაინერგოს რისკების მართვის ახალი მეთოდები.

7. საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისა და ფინანსური შუამავლობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდეს კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ეგაპობრივი ზრდის პროცესი.

8. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების მიზნით ეროვნულმა ბანკმა მოამზადოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაგანი ცვლილებების პროექტი.

9. ეროვნული ბანკის კაპიტალიზაციის დონის გაზრდის მიზნით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად 2004 წლის წმინდა მოგების 10 პროცენტი მიიმართოს ეროვნული ბანკის განაღებული საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად.

10. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მის ბალანსზე რიცხული ქონება, რომელიც მას აქვს დასაკუთრებული აქტივების სახით და რომელიც ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფის მიზნით გირაოში იყო ჩადებული (სოკოს კომპლექსი და სხვა აქტივები), გადასცეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზების მიზნით. ამოღებული სახსრებით დაიფაროს ის ზარალი, რომელიც ეროვნულმა ბანკმა მიიღო ზემოაღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგად.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე

მიხეილ მაჭავარიანი

თბილისი,
2004 წლის 24 დეკემბერი.
N 787 - რს